წმინდა სინოდმა დაამტკიცა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო სინოდის გადაწყვეტილება აღმოსავლეთ ამერიკის, დასავლეთ ამერიკის და კანადის ეპარქიების ვიკარების გამორჩევასთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 26.12.2025. 2025 წლის 26 დეკემბერს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის მოხსენება რუსეთის მართლმადიდებლური საზღვარგარეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო სინოდის გადაწყვეტილებების შესახებ აღმოსავლეთ ამერიკის, დასავლეთ ამერიკის და კანადის ეპარქიების ვიკარების გამორჩევასთან დაკავშირებით (**ჟურნალი № 125**).

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს სახელზე შემოვიდა მიმართვა აღმოსავლეთ ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტ ნიკოლოზისგან თხოვნით, დაემტკიცებინა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდს რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის სამღვდელთმთავრო სინოდის მიერ გამორჩეული ვიკარიები აღმოსავლეთ ამერიკის, დასავლეთ ამერიკის და კანადის ეპარქიებში.

2007 წლის 17 მაისის კანონიკური ზიარების აქტის შესაბამისად, რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების „გამორჩევა ხდება მისი სამღვდელთმთავრო კრების მიერ ან, რუსეთის საზღვარგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამღვდელთმთავრო სინოდის მიერ. გამორჩევას კანონიკურ საფუძველზე ამტკიცებს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი“.

წმინდა სინოდმა დაამტკიცა რუსეთის საზღვარგარეთის ეკკლესიის სამღვდელთმთავრო სინოდის გადაწყვეტილება. ამრიგად დეკანოზი მიხეილ კრაული არჩეულია ბოსტონის ეპისკოპოსად და აღმოსავლეთ ამერიკის ეპარქიის ვიკარად (მონაზვნად აღკვეცის შემდეგ); მღვდელმონაზონი პეტრე (კარაკოზოვი) – სიეტლის ეპისკოპოსად და დასავლეთ ამერიკის ეპარქიის ვიკარად; მღვდელმონაზონი სპირიდონი (გუსაკოვი) – ტორონტოს ეპისკოპოსად და კანადის ეპარქიის ვიკარად.

ხელთდასხმის ადგილსა და დროს გადაწყვეტს რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის მმართველი იერარქია.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93892/